



გლობალური  
კონკურენტუნარიანობის  
ინდექსი

***Global Competitiveness Index***

საქართველოს ეკონომიკისა და  
მდგრადი განვითარების სამინისტრო  
2010

# გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი

## რა არის გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი (GCI)

- მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ინდექსი (GCI), რომელსაც განსაზღვრავს მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, ზომავს მაკროეკონომიკური გარემოს ხარისხს, ქვეყნის საჯარო ინსტიტუტების მდგომარეობას და ტექნოლოგიური მზაობის დონეს

## რა მონაცემებს ეყრდნობა რეიტინგი

- რეიტინგი ეყრდნობა საჯაროდ ხელმისაწვდომ (სტატისტიკურ) მონაცემებსა (WB; IMF, etc.) და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის აღმასრულებელ პირთა მიერ ჩატარებული კვლევების შედეგებს. აღნიშნული ყოველწლიური კვლევა ხორციელდება პარტნიორი ინსტიტუტების ხელშეწყობით (სამეცნიერო ინსტიტუტები და ბიზნეს-ორგანიზაციები)

## რას მოიცავს ანგარიში „გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი“ (GCI)

- GCI ახდენს იმ ფაქტორების ანალიზს, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყანაში ბიზნეს-კლიმატის შექმნისათვის და მნიშვნელოვანია მწარმოებლურობისა და კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით
- განიხილავს ქვეყნის ძლიერ და სუსტ მხარეებს, ახდენს პრიორიტეტების იდენტიფიცირებას პოლიტიკური რეფორმების განხორციელების ხელშეწყობისათვის

## რამდენ ქვეყანას მოიცავს ანგარიში

- 2009-2010 წლის კვლევა მოიცავს **133** ქვეყანას. აღნიშნულ წელს, მწირი მონაცემების შედეგად, კვლევას გამოაკლდა მოდლოვა

# გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი


## რას მოიცავს ფაქტორთა ჯგუფი

- GCI მოიცავს ქვეყნის განვითარების სამ ძირითად საფეხურს: *ფაქტორ-მამოძრავებელი, ეფექტიანობის მამოძრავებელი და ინოვაციის მამოძრავებელი*

განვითარების საფეხურები	მშპ ერთ სულ მოსახლეზე	ქვეყნების რაოდენობა
<b>I. საფეხური – ფაქტორ-მამოძრავებელი</b>	2 000 აშშ დოლარზე ნაკლები	38 ქვეყანა
პირველიდან მეორე საფეხურზე გარდამავალი ქვეყნები	2 000 – 3 000 აშშ დოლარი	18 ქვეყანა (მათ შორის: <b>საქართველო</b> , აზერბაიჯანი)
<b>II. საფეხური – ეფექტიანობის მამოძრავებელი</b>	3 000 – 9 000 აშშ დოლარი	26 ქვეყანა (მათ შორის: სომხეთი, უკრაინა)
მეორედან მესამე საფეხურზე გარდამავალი ქვეყნები	9 000 – 17 000 აშშ დოლარი	14 ქვეყანა (მათ შორის: რუსეთი, თურქეთი, ლატვია, ლიტვა)
<b>III. საფეხური – ინოვაციის მამოძრავებელი</b>	17 000 აშშ დოლარზე მეტი	37 ქვეყანა (მათ შორის: ესტონეთი)

# გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი


➤ ქვეყნის განვითარების სამი ძირითადი საფეხური მოიცავს **3** ქვეინდექსს, რომელიც აერთიანებს **12** მაჩვენებელს:




# გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი

➤ 2009-2010 წლებში საქართველო **90**-ე პოზიციაზე, მისი სარეიტინგო ქულა **3.81**-ს შეადგენს (ზომიერი მაჩვენებელი)

საქართველოს რეიტინგი წლების მიხედვით 2004-2010 წწ



საქართველოს რეიტინგის შედარება სხვა ქვეყნებთან 2009-2010 წწ




# გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი

საქართველოს რეიტინგი წლების მიხედვით 3 ინდექსის მიხედვით

2006-07 წლებთან შედარებით 2009-10 წლებში საქართველოს მდგომარეობა გაუარესდა სამივე კომპონენტში:


- ძირითადი მოთხოვნები – 3 საფეხური
- ეფექტიანობის გამაძლიერებლები – 2 საფეხური
- ინოვაციისა და განვითარების ფაქტორები – 4 საფეხური



# გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი

2009-2010 წელი, საქართველო

- ძირითადი მოთხოვნები – **85-ე** ადგილი, საერთო ქულა 4.10
- ეფექტიანობის გამაძლიერებელი – **89-ე** ადგილი, საერთო ქულა 3.73
- ინოვაციისა და განვითარების ფაქტორი – **117-ე** ადგილი, საერთო ქულა 2.94



# გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი

სამ ფაქტორთა ჯგუფში შემავალი 12 ინდიკატორი, რომელიც თავის მხრივ ჩაშლილია 110 კომპონენტად, ფასდება 0-დან 7 ქულამდე

- 5.45-დან 7 ქულამდე – ძალიან მაღალი მაჩვენებელი
- 4.51-დან 5.44 ქულამდე – მაღალი მაჩვენებელი
- 3.51-დან 4.50 ქულამდე – ზომიერი მაჩვენებელი
- 3.01-დან 3.50 ქულამდე – დაბალი მაჩვენებელი
- 0-დან 3 ქულამდე – ძალიან დაბალი მაჩვენებელი

მოცემული კომპონენტები იყოფა ორი მიმართულებით:

- შედარებითი უპირატესობა
- შედარებითი არახელსაყრელი მდგომარეობა

საქართველოს 110 კომპონენტიდან შედარებითი უპირატესობა აქვს **23-ში**, ხოლო შედარებითი არახელსაყრელი მდგომარეობა – **87-ში**

# გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი

## I. ინსტიტუტები

**ინდიკატორი** ფასდება 19 კომპონენტით:

- **შედარებითი უპირატესობა – 6 კომპონენტი:**
  - საჯარო სახსრების გვერდის ავლა
  - არამიზნობრივი სახელმწიფო ხარჯები
  - სამთავრობო რეგულაციების ტვირთი
  - მთავრობის პოლიტიკური კურსის გამჭვირვალობა
  - ბიზნესის დანახარჯები სამართალდარღვევებზე და ქურდობაზე
  - პოლიციის მომსახურების გაუმჯობესება
- **შედარებითი არახელსაყრელი მდგომარეობა – 13 კომპონენტი:**
  - საკუთრების უფლებები
  - ინტელექტუალური საკუთრება
  - ნდობა პოლიტიკოსების მიმართ
  - სასამართლოს დამოუკიდებლობა
  - მთავრობის გადაწყვეტილებების უპირატესობა
  - დავების სამართლებრივი გზით მოგვარების ეფექტიანობა
  - დადგენილებების სამართლებრივი ეფექტიანობა
  - ბიზნესის დანახარჯები ტერორიზმზე
  - ორგანიზებული კრიმინალი
  - ფირმების ქცევის ეთიკა
  - აუდიტისა და ანგარიშის სტანდარტები
  - კორპორატიული საბჭოს ეფექტიანობა
  - უმცირესობაში მყოფი აქციონერების ინტერესების დაცვა

## II. ინფრასტრუქტურა

**ინდიკატორი** ფასდება 8 კომპონენტით:

- **შედარებითი უპირატესობა – 1 კომპონენტი:**
  - სარკინიგზო ინფრასტრუქტურის ხარისხი
- **შედარებითი არახელსაყრელი მდგომარეობა – 7 კომპონენტი:**
  - ინფრასტრუქტურის ხარისხი
  - გზების ხარისხი
  - საპორტო ინფრასტრუქტურის ხარისხი
  - საჰაერო მიმოსვლის ინფრასტრუქტურის ხარისხი
  - შესაძლო ადგილების მანძილი
  - ელექტროენერჯის მიწოდების ხარისხი
  - სატელეფონო ხაზები

# გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი

## III. მაკროეკონომიკური სტაბილურობა

**ინდიკატორი** ფასდება **5** კომპონენტით:

- შედარებითი უპირატესობა – 1 კომპონენტი:
  - სახელმწიფო ვალი
- შედარებითი არახელსაყრელი მდგომარეობა – 4 კომპონენტი:
  - სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი
  - ეროვნული დანაზოგები
  - ინფლაცია
  - საპროცენტო განაკვეთების ზრდა

## IV. ჯანდაცვა და დაწყებითი განათლება

**ინდიკატორი** ფასდება **11** კომპონენტით:

- შედარებითი უპირატესობა – 1 კომპონენტი:
  - იმუნოდეფიციტის პრევენცია
- შედარებითი არახელსაყრელი მდგომარეობა – 10 კომპონენტი:
  - მაღარიის გავლენა ბიზნესზე
  - მაღარიის შემთხვევები
  - ტუბერკულოზის გავლენა ბიზნესზე
  - ტუბერკულოზის შემთხვევები
  - შიდსისა და იმუნოდეფიციტის გავლენა ბიზნესზე
  - ახალშობილთა სიკვდილიანობა
  - სიცოცხლის ხანგრძლივობა
  - დაწყებითი განათლების ხარისხი
  - პირველადი განათლება
  - ხარჯები განათლებაზე

# მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ინდექსი

## V. უმაღლესი განათლება და ტრენინგი

ინდიკატორი ფასდება 8 კომპონენტით:

- შედარებითი არახელსაყრელი მდგომარეობა – 8-ვე კომპონენტში:
  - მეორადი განათლება
  - პროფესიული განათლება
  - საგანმანათლებლო სისტემის ხარისხი
  - მათემატიკური და სამეცნიერო განათლების ხარისხი
  - მენეჯმენტის სკოლების ხარისხი
  - სკოლებში ინტერნეტის ხელმისაწვდომობა
  - სამეცნიერო და სატრენინგო მომსახურების ადგილობრივი შესაძლებლობები
  - ადამიანური რესურსების დატრენინგების მოცულობა

## VI. სასაქონლო ბაზრის ეფექტიანობა

ინდიკატორი ფასდება 15 კომპონენტით:

- შედარებითი უპირატესობა – 7 კომპონენტი:
  - გადასახდების მოცულობა და ეფექტი
  - ბიზნესის დაწევისათვის საჭირო პროცედურების რაოდენობა
  - ბიზნესის დაწევისათვის საჭირო დრო
  - სავაჭრო ბარიერების აღმოფხვრა
  - სატარიფო ბარიერები
  - პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე ბიზნეს რეგულაციების გავლენა
  - საბაჟო პროცედურების სიმძიმე/ტვირთი
- შედარებითი არახელსაყრელი მდგომარეობა – 8 კომპონენტი:
  - ადგილობრივი კონკურენციის სიძლიერე
  - ბაზარზე დომინანტის მოცულობა
  - ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ეფექტიანობა
  - მთლიანი საგადასახადო განაკვეთი
  - სოფლოს მეურნეობის დანახარჯები
  - უცხო მფლობელობის გაუქმება
  - მომხმარებელთა ორიენტაციის დონე
  - მყიდველთა დახვეწილობა

# მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ინდექსი

## VII. შრომის ბაზრის ეფექტიანობა

ინდიკატორი ფასდება 9 კომპონენტით:

- შედარებითი უპირატესობა – 5 კომპონენტი:
  - ხელფასის განსაზღვრის მოქნილობა
  - დასაქმების სირთულე
  - დაქირავებისა და გათავისუფლების პრაქტიკა
  - გათავისუფლების ხარჯები
  - საფასური და ნაყოფიერება
- შედარებითი არახელსაყრელი მდგომარეობა – 4 კომპონენტი:
  - თანამშრომლობა დამქირავებელ-დაქირავებულს შორის
  - პროფესიულ მენეჯმენტზე დაყრდნობა
  - თვინების გადინება
  - სამუშაო ძალაში ქალთა მონაწილეობა

## VIII. ფინანსური ბაზრის სრულყოფა

ინდიკატორი ფასდება 9 კომპონენტით:

- შედარებითი უპირატესობა – 2 კომპონენტი:
  - კაპიტალის ნაკადებზე შეზღუდვა
  - ინვესტორთა ინტერესების დაცვის სიძლიერე
- შედარებითი არახელსაყრელი მდგომარეობა – 7 კომპონენტი:
  - ფინანსური ბაზრის სრულყოფა
  - დაფინანსება ადგილობრივი კაპიტალის ბაზრის საშუალებით
  - სესხის ხელმისაწვდომობა
  - სარისკო კაპიტალის არსებობა
  - ბანკების გამძლეობა (სიმტკიცე)
  - საფონდო ბირჟის რეგულაცია
  - სამართლებრივი უფლების ინდექსი

# მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ინდექსი

## IX. ტექნოლოგიური მზაობა

ინდიკატორი ფასდება 8 კომპონენტით:

- შედარებითი არახელსაყრელი მდგომარეობა – 8-ვე კომპონენტში:
  - უახლესი ტექნოლოგიების არსებობა
  - საწარმოთა მიერ ტექნოლოგიების ათვისება
  - საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებული კანონები
  - პირადირი უცხოური ინვესტიციები და ტექნოლოგიის ტრანსფერი
  - მობილური ტელეფონის შესყიდვები
  - ინტერნეტის მომხმარებლები
  - პერსონალური კომპიუტერები
  - მრავალსისშირიანი ინტერნეტი

## X. აზრის მოცულობა

ინდიკატორი ფასდება 2 კომპონენტით:

- შედარებითი არახელსაყრელი მდგომარეობა – 2-ვე კომპონენტში:
  - შიდა ბაზრის მოცულობის ინდექსი
  - ცხოური ბაზრის მოცულობის ინდექსი

# გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი

## XI. ბიზნესის განვითარება

ინდიკატორი ფასდება 9 კომპონენტით:

- შედარებითი არახელსაყრელი მდგომარეობა – 9-ვე კომპონენტში:
  - ადგილობრივ მიმწოდებელთა რაოდენობა
  - ადგილობრივ მიმწოდებელთა ხარისხი
  - ჯგუფის განვითარების მდგომარეობა
  - შედარებითი უპირატესობის არსი
  - ჯაჭვური ციკლი
  - კონტროლი საერთაშორისო განაწილებაზე
  - წარმოების პროცესის დახვეწა
  - მარკეტინგის ხარისხი
  - უფლებამოსილების დელეგირება

## XII. ინოვაციები


ინდიკატორი ფასდება 7 კომპონენტით:

- შედარებითი არახელსაყრელი მდგომარეობა – 7-ვე კომპონენტში:
  - ინოვაციური შესაძლებლობები
  - სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების ხარისხი
  - კომპანიის ხარჯი კვლევასა და განვითარებაზე
  - ინდუსტრიული ინსტიტუტების მონაწილეობა კვლევასა და განვითარებაში
  - განვითარებული ტექნოლოგიური პროდუქციის სამთავრობო შესყიდვები
  - მეცნიერების და ინჟინრების არსებობა
  - პატენტებით სარგებლიანობა

# გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი

ქვემოთ მოცემულია საქართველოში მოქმედ ბიზნეს-საწარმოებთან ჩატარებული გამოკითხვის შედეგები. გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა ის ძირითადი საკითხები, რომლებიც ბიზნესის კეთებისა და განვითარების ხელისშემშლელ ფაქტორებს წარმოადგენს

## ბიზნესის კეთების ძირითადი პრობლემები



# გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის პარტნიორი ორგანიზაციი საქართველოში არის „ბიზნეს ინიციტივა საქართველოში რეფორმების განხორციელების კუთხით“ (Business Initiative for Reforms in Georgia)

ეს არის არასამთავრობო, მოგებაზე არაორიენტირებული “Think Tank”, რომლის მიზანია საჯარო დებატების გამართვა და ქვეყანაში პოლიტიკური რეფორმების განხორციელების მიზნით. ორგანიზაციის ძირითადი აქცენტია განვითარების მიკროეკონომიკური საფუძვლები და კონკრეტული მიმართულებები, რომელიც აუცილებელი წინაპირობაა კონკურენტუნარიანობისა და მდგრადი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფისათვის.

**BIRG** აქტიურად თანამშრომლობს მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმთან დავოსში, რომელმაც მოიცვა საქართველო მის მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ანგარიშში.

აღნიშნული ორგანიზაცია გამოვიდა ინიციტივით, რომ საქართველო შესულიყო კონკურენტუნარიანობის ანგარიშში. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, იგი გახდა მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმის პარტნიორი ინსტიტუტი. ეს ორგანიზაცია პასუხისმგებელია საქართველოში მოქმედი წამყვანი კომპანიების მთავარი აღმასრულებელი პირების გამოკითხვით ჩაატაროს კვლევები.

ქვემოთ მოცემულმა კომპანიებმა, ორგანიზაციებმა და ფონდებმა უზრუნველყვეს საქართველოს ამ ანგარიშში მოხვედრის დაფინანსება:

- ევრაზიის ფონდი
- ამერიკა-საქართველოს ბიზნეს ასოციაცია
- ევროკავშირის პროგრამა “Business Advisory Service”
- თიბისი ბანკი
- საქართველოს მინერალური წყლების კომპანია
- GMT ჯგუფი
- BP
- აგრიტექნიქსი
- საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

**Business Initiative for Reforms in Georgia**-ს დამფუძნებლები/წევრები:

- გიგა მახარაძე – დამფუძნებელ დირექტორთა საბჭოს წევრი
- თამარ ჭინჭარაული – აღმასრულებელი დირექტორი
- მამუკა წერეთელი – დამფუძნებელ დირექტორთა საბჭოს წევრი